საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №197/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 23 ივლისის №197 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 12 ნოემბრის №197/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობაზე.

1.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ 2015 წლის 24 სექტემბერს მოსამართლე -- -- მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილება მას ამ დრომდე არ ჩაბარებია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2012 წლის 1 აგვისტოს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- და -- --, მოპასუხის -- --, -- --, -- --, -- -- მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი -- -- 2012 წლის 29 ივნისის №--, 2012 წლის 29 ივნისის №--, 2012 წლის 29 ივნისის №--, -- სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 29 ივნისის №-- გადაწყვეტილებები; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა (მოსამართლე-- --).

2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --.

2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით, -- სააპელაციო სასამართლოს -- -- გადაწყვეტილებით (მოსამართლე-- --) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს -- -- 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება. -- -- და -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება -- -- და -- -- მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.

2015 წლის 7 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს -- -- 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება.

2.2. 2012 წლის 2 აგვისტოს -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, 2010 წლის 7 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება -- -- და -- -- გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. -- სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება -- -- მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; არ დაკმაყოფილდა -- -- სარჩელი -- -- და -- -- შორის 2010 წლის 7 აპრილს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ამ დრომდე მხარეებს არ ჩაბარებიათ.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 23 ივლისის №197 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4.1. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, „საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში“. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოსამართლე -- -- 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და საჩივრის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, ვინაიდან, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საჩივარი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე[1].

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში, თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია[2].

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44). თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. კონკრეტული მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული ვადა საკასაციო სასამართლოსთვის შეადგენს 1 თვეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა. მოსამართლე -- -- 2015-2017 წლებში განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით 579 საქმე, დასრულდა - 634 საქმე (109.4%), ხოლო 2018 წელს განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით 485 საქმე, დასრულდა - 216 საქმე (44.5%).

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე: მოსამართლემ საანგარიშო წლის განმავლობაში დაასრულა განსახილველ საქმეთა ნახევარზე მეტი, ასევე, მის მიერ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით განხორციელდა არაერთი საპროცესო მოქმედება, ყოველივე აღნიშნული კი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მოსამართლის მხრიდან კანონით დადგენილი ვადის განზრახ დარღვევა დადასტურდეს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოსამართლის დატვირთულობა, საქმის სირთულე და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

დისციპლინური საქმეზე №197/18 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არსებობდა მოსამართლე -- -- დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები, ხოლო ოთხმა წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის ცალსახა საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ ცხრა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე N197/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი